საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მინისტრის N01-260/ო ბრძანების თანახმად „ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების“ სისტემისა და „ელექტრონული ჯანდაცვის“ მოდულების ინტეგრაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი #8

თბილისი, SSA, XV **29.09.2015წ.**
16:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: **მამუკა სონღულაშვილი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მრჩეველი

სხდომას ესწრებოდნენ: **მიხეილ ჯანიაშვილი** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი

ზაზა სოფრომაძე - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

ივანე გოლიაძე - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

გია ჯღარკავა - პროექტის მენეჯერი. სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი

„ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ელექტრონული სისტემის დანერგვის და საყოველთაო ჯანდაცვის მართვის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრაციის განხორციელებისა და დანერგვის შესახებ პროექტის ფარგლებში მიმდინარე საკითხების მოხსენება, განხილვა და სამომავლო საკითხების დაგეგმვა.

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმომადგენელმა, პროექტის კოორდინატორმა (**მიხეილ ჯანიაშვილი**) წარმოადგინა პროექტის მიმდინარე საკითხები, რისკები და პრობლემები. პროექტის მენეჯერმა (**გია ჯღარკავა**) წარმოადგინა მიმდინარე სხდომებისა და სამუშაოების ოქმების პირველადი ვერსია, რაზეც სხდომის

თავმჯდომარემ (**მამუკა სონღულაშვილი**) აღნიშნა, რომ ოქმები უნდა იყოს ბევრად დეტალური და მოცულობითი.

2. სხდომაზე წამოიჭრა HSSP-ის მოდულების სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადაბარების იურიდიული საკითხი. პროცედურა უნდა მოიცავდეს მოდულების გადაბარებას ჯერ სამინისტროსთვის, ხოლო შემდეგ სააგენტოზე. დეტალებს მოგვიანებით დაადგენენ იურისტები.

3. სხდომაზე **მიხეილ ჯანიაშვილმა** წამოჭრა მოდულების ხარისხის ინსპექტირების საკითხი, რაზეც **ზაზა სოფრომაძემ** გააკეთა კომენტარი, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოდულების ხარისხის ინსპექტირება საჭირო და აუცილებელია, მიმდინარე ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ხელს ვერ შეუშლის გადაბარების პროცესს.

4. სხდომის წევრები შეთანხმდნენ, რომ უნდა მოხდეს ინტეგრაციის დანერგვის დადგენილი გეგმა-გრაფიკის დეტალიზაცია და შეთანხმება.

5. ინტეგრაციის პროექტის მიმდინარე სტატუსი მინისტრისთვის წარსადგენად წინასწარ განისაზღვრა 2015 წლის ოქტომბრის შუა რიცხვები.

EMR პროექტის მენეჯერი

გიორგი ჯღარკავა